საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“

ინფორმაცია სასაქონლო ნიშნის შესახებ:

ნიშანი:

რეგისტრაციის N: **24009**

მფლობელი: **შპს MODERN TECHNICS XXI**

მისამართი: **სვიშევსკის 166/3, 6000, ბათუმი, საქართველო**

კლას(ებ)ი:

**7 - მანქანები და ჩარხები; მოტორები და ძრავები (მიწისზედა სატრანსპორტო საშუალებებისათვის განკუთვნილის გარდა); შეერთებები და გადაცემის ელემენტები (მიწისზედა სატრანსპორტო საშუალებებისათვის განკუთვნილის გარდა); სასოფლო-სამეურნეო იარაღები, განსხვავებული ხელის იარაღებისაგან; ინკუბატორები, ჯაჭვური ხერხი. სათიბელა, კულტივატორის ძრავი, მიწის საბურღი აპარატი, კულტივატორი, შესაწამლი აპარატი.**

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

# საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი
# საქპატენტი

ქ. მცხეთა "03" 09 2013 წ.

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №1208/03

**სასაქონლო ნიშანზე სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის რეგისტრაციის თაობაზე**

2013 წლის 19 აგვისტოს N 73582/03 განცხადებით შპს „MODERN TECHNICS XXI"-ის წარმომადგენელმა ილია ხილაძემ (მის: სვიშევსკის 166/3, ბათუმი ) მოითხოვა სასაქონლო ნიშანზე „MT XXI MODERN TECHNICS – XXI" (რეგ. N 24009) სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის ორი წლის ვადით სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში რეგისტრაცია. სასაქონლო ნიშანი „MT XXI MODERN TECHNICS – XXI" (რეგ. N 24009) „საქპატენტში" რეგსტრირებულია 03.09.2013 წელს და მისი მოქმედების ვადა განისაზღვრება 03.09.2023 წლამდე. სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებულია მე-7 კლასის საქონლის ჩამონათვალის მიმართ. არსებული გარემოებების შესწავლის შედეგად და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 52-ე მუხლის, „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს კანონის მე–4 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის" დებულების დამტკიცების შესახებ "საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის N181 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტისა და მე-3 პუნქტის საფუძველზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. სასაქონლო ნიშანზე „MT XXI MODERN TECHNICS – XXI" (რეგ. N 24009) დარეგისტრირდეს სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნა სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში ორი წლის ვადით (მოთხოვნის რეგისტრაციის N 351), მოთხოვნის რეგისტრაციის თარიღი 03.09.2013).

2. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქპატენტთან არსებულ სააპელაციო პალატაში კანონით დადგენილი წესით სამი თვის ვადაში ან მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: მცხეთა, სამხედროს N 17) ერთი თვის ვადაში.

თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ეკატერინე ეგუტია

ეგზავნება: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტს; შპს „MODERN TECHNICS XXI"-ის წარმომადგენელს ილია ხილაძეს(მის: სვიშევსკის 166/3, ბათუმი)

ასლი დედანთან სწორია
„03" 09 2013წ.
ხელმოწერა